განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ციფრული მედია და კომუნიკაცია, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

დასკვნა

შეფასების თარიღ(ებ)ი - 7,8 ივნისი 2021

დასკვნის წარდგენის თარიღი - 5 აგვისტო 2021

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	**229275405**
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	„ციფრული მედია და კომუნიკაცია“ (“Digital Media and Communication”)
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა, აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	მასობრივი კომუნიკაციის მაგისტრი Master of Mass Communication
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0321 ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი პროგრამა

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლელი ბიბილაშვილი, შპს. საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნატო ასათიანი, შპს კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ქიმერიძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიგი გიოშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საგანმანათლებლო პროგრამა მიზნად ისახავს დანერგოს ინოვაციური საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებით შექმნილი ციფრული მედიისა და კომუნიკაციების სამაგისტრო პროგრამა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში. აღნიშნული პროგრამა ერთერთ ყველაზე თანამედროვე და მნიშვნელოვან წამოწყებას წარმოადგენს, რომელიც, ხელს შეუწყობს ციფრული მედიისა და კომუნიკაციების დარგის განვითარებას და ამ მხრივ არსებული დეფიციტური ადამიანური რესურსის საჭირო და კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური კადრების აღზრდას. საქართველოში სფეროს განვითარებისთვის გადადგმული ეს ნაბიჯი საჭირო, დროული და მისასალმებელია.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროგრამის შემოწმება დაწესებულებაში განხორციელდა 2021 წლის 7 და 8 ივნისს. კორონავირუსის გავრცელების თავიდან ასაცილებლად, შეფასება განხორციელდა დისტანციურად, zoom პლატფორმის მეშვეობით, ხოლო 8 ივნისს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერების მიზნით მოხდა ვიზიტი ადგილზე უნივერსიტეტში. შეხვედრები შედგა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პერსონალთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან, რომელნიც აგრეთვე ჩართულნი არიან პროგრამის შემუშავებაში. შეხვედრა ასევე გაიმართა მომიჯნავე სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. აკრედიტაციის ექსპერტებმა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის თანამშრომლებთან ერთად მიმოიხილეს სასწავლო რესურსები და ადგილზე გაეცნენ ბიბლიოთეკის საძიებო სისტემას, ბაზებსა და პროგრამისთვის შექმნილ რიდერებს. აკრედიტაციის ექსპერტებმა, აგრეთვე ადგილზე დაათვალიერეს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიური ბაზა - აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, ადმინისტრაცია და ა.შ.

შეფასება განხორციელდა პროფესიულ, თანამშრომლობით გარემოში.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ციფრული მედიისა და კომუნიკაციების საგამისტრო პროგრამა შეესაბამება სტანდარტებს, პროგრამის სრულყოფისათვის პროგრამის განვითარებაზე ორიენტირებული რჩევებისა და რეკომენდაციების გათვალისწინება. განსაკუთრებით ხაზგასასმელია სტანდარტი 2 - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, რომლის სრულყოფაც აუცილებელია პროგრამის გამართული და წარმატებული განხორციელებისათვის.

- **უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება/არგაზიარების შესახებ**

2021 წლის 21 ივლისს ექსპერტთა ჯგუფმა წარადგინა დასკვნის პროექტი, რომლის

საფუძველზეც შპს. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტმა გამოაგზავნა თავისი არგუმენტირებული პოზიცია, სადაც მოცემულია ქვემოთაღნიშნულ რეკომენდაციებზე უსდ-ს კომენტარები. აღსანიშნავია, რომ უსდ-ს არგუმენტირებული პოზიცია არაფრით არ განსხვავდება აკრედიტაციის ჯგუფის ღია სასწავლო უნიევრსიტეტში ვიზიტის დროს გამართული

შეხვედრებისას მოწოდებული ინფორმაციისაგან და კომენტარებისაგან. პოზიცია ზოგადია

და არ ეყრდნობა მტკიცებულებებს. მაგალითისთვის, არგუმენტი, რომ გარკვეული კურსების სავალდებულო სახით შეთავაზება კრედიტების რაოდენობას გაზრდის სავალდებულო საგნების ნაწილში და შეამცირებს არჩევითი საგნების მრავალფეროვნებას არასაკმარისია, მაშინ როცა შესაძლებელია პროგრამის ძირითადი ნაწილიდან შესავალი/საბაზისო ხასიათის კურსების გაერთიანება ერთ სასწავლო კომპონენტად და მის ნაცვლად მნიშვნელოვანი საგნების შეთავაზება, ამავდროულად წარმოდგენილი არგუმენტაცია, რომ ლოიოლას უნივერსიტეტს არ ცალკე აქვს სტრატეგიული კომუნიკაციების პროგრამა არ არის მისაღები, რადგან აშშ უნივერსიტეტები ანალოგიური კვალიფიკაციების ჩარჩოს პრინციპებით არ ხელმძღვანელობენ და აღნიშნული უნივერსიტეტი სწორედ ვიწროდ ციფრულ მედიაში ანიჭებს კურსდამთავრებულს კვალიფიკაციას, აღნიშნული პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია კი არის „მასობრივი კომუნიკაციების მაგისტრი“ და ამავდროულად, თავად პროგრამას დასაქმების სფეროდ განსაზღვრული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულება, რაც სტრატეგიული კომუნიკაციების კურსის გავლით გააძლიერებს აღნიშნული კვალიფიკაციის მიღწევას და ძირითადი აქცენტი ციფრულ კონტექსტში რეპორტიორისა და მედია კომპონენტების სწავლებაზე არ იქნება გადატანილი. ასევე, როდესაც აკრედიტაციის სტანდარტი გვავალდებულებს, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები იყოს გამჭვირვალე და ნათელი, ეს თავისთავად მოიცავს სპეციალობის/შიდა გამოცდის თემატიკისა და კრიტერიუმების გაწერას, სწორედ აღნიშნულით იქნება უზრუნველყოფილი გამჭვირვალობა. თუმცა, დაწესებულება აღნიშნავს, რომ გამოქვეყნებულ ინფორმაციაში გაწერილი იქნება შეფასების რუბრიკაც. აქვე აღსანიშნავია, აკადემიური წერის საკითხთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრება და არ ვიზიარებთ დაწესებულების პოზიციას, როგორც ეს რეკომენდაციაშიც ნათლად ჩანს, ცხადია, მათი გადასაწყვეტია, რა ფორმით იქნება აკადემიური წერის კურსი შეთავაზებული, ცალკე კომპონენტად თუ ინკორპორირებული სხვა საგანთან, რომელიც სილაბუსში ნათლად უნდა ჩანდეს, მაგრამ სამაგისტრო დონეზე, სადაც ძალიან მნიშვნელოვანი ადგილი და როლი აქვს რეფერირებისა თუ აკადემიური წერის საკითხების ცოდნას სამაგისტრო ნაშრომის მომზადების პროცესში, ასევე, სადოქტორო პროგრამისთვის კურსდამთავრებულის მზაობას, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რომ აკადემიური წერა უფრო მნიშვნელოვნად უნდა იყოს წარდმოგენილი პროგრამაში, საბაკალავრო დონეზე შესწავლილი აკადემიური წერა, ერთი რომ არასაკმარისია

და მეორე, ასევე, არ არის დარწმუნებით უზრუნველყოფილი ის, რომ საქართველოში არსებულ ყველა საბაკალავრო პროგრამაზე ისწავლებოდეს აკადემიური წერა. ლიტერატურის საკითხთან დაკავშირებით, ექსპერტები არ ეთანხმებიან დაწესებულებას და მიგვაჩნია, რომ მნიშვნელოვანია მათი განახლება და გამრავალფეროვნება, მით უფრო როცა სამაგისტრო საფეხურთან გვაქვს საქმე.

რაც შეეხება პრაქტიკის კომპონენტს, ექსპერტთა ჯგუფი ამ ნაწილშიც არ იზიარებს დაწესებულების პოზიციას, პროგრამის შემუშავების პროცესში ნათლად უნდა ჰქონდეს დაწესებულებას წარმოდგენილი და დაგეგმილი სად მოხდება სტუდენტთა სტაჟირება და პრაქტიკის სილაბუსი უნდა იყოს არა ზოგადი ხასიათის, არამედ კონკრეტულ კომპეტენციებზე ორიენტირებული. „სამუშაოს ხარისხიანად შესრულება“ - არ წარმოადგენს დარგობრივი კომპეტენციის შეფასების ამსახველ კრიტერიუმს, უნდა იყოს უკვე არსებული ჩამოყალიბებული შეთანხმება კონკრეტულ ობიექტზე რა მიზნები და შედეგები იქნება განსაზღვრული და რა აქტიობები ამ მიზნების მისაღწევად და არა ზოგადი ფორმულირებები. ამავდროულად, ე.წ. უკვე დასაქმებული სტუდენტის კომპეტენციების ან/და არაფორმალური განათლების აღიარება არ ხდება პროგრამის ფარგლებში, შესაბამისად, რეკომენდაციის არსი იყო სწორედ ის, რომ მოიხსნას მსგავსი ჩანაწერი და იყოს არჩევითი სტატუსის ყველა სტუდენტისთვის. რაც შეეხება შეფასების კომპონენტებს, ამ ნაწილშიც არ ვიზიარებთ დაწესებულების არგუმენტაციას, სწორედ ინტერვიუების დროს გადამოწმდა აღნიშნული საკითხი და აკადემიურმა პერსონალმა აღნიშნა, ისეთი კონკრეტული აქტიობები, დავალებები,პროექტები, რომელიც სილაბუსში არ არის გაწერილი და მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტისთვის მაქსიმალური გამჭვირვალობის და სწორი მოლოდინების ჩამოყალიბების მიზნით, მოხდეს მათი დაზუსტება, ასე მაგალითად, აქტიურობის შეფასებას, როგორც ინტერვიუებით გაირკვა ახდენენ კონკრეტული ქეისების განხილვის ან/და დისკუსიების შეფასებით, სწორედ ეს რეალური დავალების ტიპები და შეფასებები უნდა აისახოს სილაბუსში. ასევე, არ ვიზიარებთ არგუმენტაციას ბიუჯეტთან დაკავშირებით.

სამაგისტრო ნაშრომის მოცულობასთან დაკავშირებით დაწესებულების პოზიცია მისაღებია.

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ პროგრამა შედგენილია ლოგიკურად, ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად და უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული შედეგებისა და კომპეტენციების გამომუშავებას, ექსპერტთა შეთავაზებული რეკომენდაციები ემსახურება პროგრამის გაძლიერებას და განვითარებას.

- **რეკომენდაციები**

  - ვინაიდან პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება მასობრივი კომუნიკაციის მაგისტრის კვალიფიკაცია და ასევე, რადგან პროგრამაში დასაქმების სფეროებად განსაზღვრულია საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურები და სოციალური მედიის მენეჯმენტს, უმჯობესია, რომ სტრატეგიული კომუნიკაციები და სოციალური მედიის სტრატეგია და კამპანიები არჩევითი საგნების ნაცვლად იყოს შეთავაზებული სავალდებულო კომპონენტად.

  - პროგრამაზე დაშვების წინაპირობების ნაწილში მკაფიოდ უნდა განისაზღვროს და შემუშავდეს სპეციალობის შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის თემატიკა და კრიტერიუმები.

  - სამაგისტრო პროგრამა ცალკე სასწავლო კომპონენტად არ ითვალისწინებს აკადემიურ წერას, რაც მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისთვის და ამავდროულად, მისი არსებობა პროგრამაში უზრუნველყოფს

სწავლების შემდეგი საფეხურისთვის კურსდამთავრებულთა მზაობას, როგორც ინტერვიუებიდან გამოიკვეთა აკადემიური წერა ინტეგრირებულია სასწავლო კომპონენტში „მედიისა და მასობრივი კომუნიკაციის კვლევის მეთოდები “, თუმცა სილაბუსში ეს არ არის ნათლად და მკაფიოდ განსაზღვრული. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ აკადემიური წერის სწავლება ხდებოდეს ან დამოუკიდებელ კომპონენტად ან ინკორპორირებული იყოს კვლევის მეთოდებთან და მოხდეს აღნიშნულის სილაბუსშიც ასახვა.

- პროგრამაში კურსი სოციალური მედიის სტრატეგია და კამპანიები წარმოადგენს არჩევით კურსს, ხოლო სოციალური მედიის ანალიტიკა პროგრამის სავალდებულო კომპონენტია, რეალურად სოციალური მედიის ანალიტიკა, სწორედ დაგეგმილი და განხორციელებული სოციალური მედია კამპანიის წარმატებისა და ეფექტიანობის გაზომვისა და შეფასების სწავლებას ემსახურება, რაც რთულად დასაძლევი იქნება, თუ სტუდენტმა არჩევითი საგნებიდან არ აიღო სოციალური მედიის სტრატეგიისა და კამპანიების კურსი. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ ციფრული მედიისა და კომუნიკაციების სამაგისტრო პროგრამაში, სოციალური მედიის სტრატეგიისა და კამპანიების სწავლება ხდებოდეს სავალდებულო სახით.

- სასწავლო კომპონენტების სილაბუსებით განსაზღვრული ლიტერატურა განახლებას და გამრავალფეროვნებას საჭიროებს, მით უფრო ისეთი მუდმივად ცვლადი და განვითარებადი სფეროს შემთხვევაში, როგორიცაა ციფრული კომუნიკაციებია.

- მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს სტაჟირების ფარგლებში სტუდენტთა დატვირთვის, აქტიობების და შეფასების კრიტერიუმების დაზუსტება და მეტი კონკრეტიზაცია, ისევე, როგორც აუცილებლად უნდა განისაზღვროს პრაქტიკის განმახორციელებელი ობიექტები.

- მიზანშეწონილია პრაქტიკის კომპონენტი არჩევითი სახით იყოს შეთავაზებული პროგრამის ფარგლებში თანაბრად ყველა სტუდენტისთვის და არ ჰქონდეს განსხვავებული სტატუსი დასაქმებული/დაუსაქმებელი სტუდენტების მიხედვით, ვინაიდან პროგრამის მიღმა გამომუშავებული უნარების აღიარება არ ხდება უმაღლეს განათლებაში და პროგრამის განმახორციელებელმა პირებმა გაუწიონ კონსულტაციები, მისცენ რეკომენდაციები ინდივიდუალურად სტუდენტებს პროფილის დაგეგმვასთან დაკავშირებით.

- მნიშვნელოვანია სილაბუსებში მკაფიოდ ჩამოყალიბდეს ცალკეული შეფასების კომპონენტების შინაარსი და კრიტერიუმები.

- მიუხედავად იმისა, რომ ბიუჯეტში განმარტებულია, რომ საჭიროების შემთხვევაში პროგრამა ფინანსურად მხარდაჭერილი იქნება უნივერსიტეტის და ფაკულტეტის შემოსავლებით, ბიუჯეტში დაკორექტირდეს და ცხადი გახდეს კვლევით საქმიანობისთვის განსაზღვრული დამატებითი თანხა.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - დაკორექტირდეს შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის *აკადემიური საბჭოს 15/05/2019წ. - ოქმი №7 (დანართი №2)* დადგენილების ***საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების ინსტრუქციის შესახებ*** მე-4 თავის მე-2 მუხლის პირველ, მე-3 პუნქტები და მოვიდეს თავსებადობაში საკანონმდებლო ნორმებთან;
  - რეგულარულად მომზადდეს ვორკშოპები საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილე აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და დამსაქმებელთათვის ხარისხის განვითარების თემებზე, შიდა ხარისხის განვითარებაში აქტიურად მონაწილეობის მიზნით.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
  - ციფრული მედიისა და კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგებისა და კურიკულუმის განსაზღვრაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ აშშ-ს ლოიოლას უნივერსიტეტის (ჩიკაგო, ილინოისის შტატი) ციფრული მედიისა და ვიზუალური ამბის თხრობის სამაგისტრო პროგრამის განმახორციელებლები, რაც კიდევ უფრო აძლიერებს პროგრამას და განსაზღვრული კომპეტენციები რელევანტურია არა მხოლოდ ადგილობრივი, არამედ საერთაშორისო ბაზრისთვის.
  - მუდმივი კომუნიკაცია დარგში წამყვან უცხოურ უნივერსიტეტებთან და აქტიური თანამშრომლობა კოლაბოტატორებთან საგანმანათლებლო პროგრამის გაახლებისა და ინტერნაციონალიზაციის მიზნით.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ციფრული მედიისა და კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული და ორიენტირებულია სწრაფად ცვალებად ციფრულ გარემოში თანამედროვე მედიაინდუსტრიის შესაბამისი კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებაზე, რომელსაც აქვს ღრმა და სისტემური თეორიული და პრაქტიკული ცოდნა ციფრულ მედიასა და კომუნიკაციაში. მკაფიოდ არის მოცემული ციფრული მედიის და კომუნიკაციის მაგისტრის დასაქმებაზე ორიენტირებული კომპეტენციები, როგორიცაა ვიზუალური ამბის თხრობის ხერხებსა თუ ფორმებს; სხვადასხვა პლატფორმების მომზადებისა და მულტიმედია მასალების შექმნის უნარს; კვლევის წარმოებისა და სოციალური მედიის ანალიტიკის უნარს; მონაცემთა დამუშავებისა და მათი ვიზუალიზაციის უნარს. აღსანიშნავია, რომ ციფრული მედიისა და კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამა წარმოადგენს სიახლეს ქართულ საგანმანათლებლო ბაზარზე, რომელსაც ანალოგი არ გააჩნია და მაღალი მნიშვნელობის და აქტუალობის მქონეა კომუნიკაციების სფეროს განვითარებისთვის. მისი შემუშავება განხორციელდა დამსაქმებლების კვლევის საფუძველზე და გათვალისწინებულია დამსაქმებლების მოთხოვნები და საჭიროებები.პროგრამა სრულ თავსებადობაშია უნივერსიტეტის მისიასთან, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მისიაა უზრუნველყოს პროფესიონალიზმზე ორიენტირებული ხარისხიანი განათლება, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს რა გამოყენებით კვლევებს, ინოვაციებს, ინტერნაციონალიზაციასა და უწყვეტ განათლებას. ციფრული მედიისა და კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამაც სწორედ ინოვაციურობით გამოირჩევა ქართულ რეალობაში, მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, კვლევითი უნარებით აღჭურვილი სპეციალისტების მომზადებას

ისახავს მიზნად. ასევე, აღსანიშნავია, რომ პროგრამა ძლიერია ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისითაც, პროგრამის შემუშავების პროცესში აქტიურად იყო ჩართული ჩიკაგოს ლოიოლოას უნივერსიტეტი და იგეგმება კიდევ უფრო აქტიური თანამშრომლობის განვითარება. პროგრამის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია საერთაშორისო გამოცდილება და პასუხობს, როგორც ადგილობრივ, ისე გლობალურ გამოწვევებს.

პროგრამის მიზნები ნათლად და გასაგებადაა ჩამოყალიბებული, მათი მიღწევის გზები მკაფიოდაა დასახული. მიზნები მიღწევადია და შეესაბამება ბაზრის მოთხოვნებს,

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის მისია
- საგანმანათლებლო პროგრამა
- სილაბუსები
- ვიზიტის დროს გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პრფესორებთან და მოწვეულ პერსონალთან, პოეტნციურ დამსაქმებლებთან
- შრომის ბაზრის ანალიზი

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

[x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები ნათლადაა ჩამოყალიბებული, რეალისტური, მიღწევადი და გაზომვადია. სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან. პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი კადრის ჩამოყალიბებას დასაქმების ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად.

ციფრული მედიისა და კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამა შემდეგ კომპეტენციებს უვითარებს კურსდამთავრებულს:

ცოდნა და გაცნობიერება:

- კურსდამთავრებულს აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა მასობრივი კომუნიკაციის თეორიების, კონცეფციებისა თუ მეთოდების, ციფრული მედიის განვითარების ტენდენციების, ციფრული მედიასამართლისა და ციფრული მედიაეთიკის შესახებ;

- კურსდამთავრებული ფლობს ღრმა და სისტემურ ცოდნას ციფრული მედიისა და ვიზუალური ამბის თხრობის ხერხებისა თუ ფორმების შესახებ;

- კურსდამთავრებული აცნობიერებს ციფრული მედიაპლატფორმების მუშაობის სპეციფიკას; სოციალური მედია ანალიტიკის ინოვაციურ ხერხებსა და ციფრული მედიაპროდუქციის აუდიტორიაში გავრცელების ფორმებს;

- კურსდამთავრებული კრიტიკულად იაზრებს და ეძიებს რთული პრობლემების გადაწყვეტის ახალ გზებს; იცის, როგორ შექმნას ორიგინალური ახალი პროექტები და ინოვაციური პროდუქტები

უნარი:

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- მოიძიოს და დაამუშაოს ინფორმაცია, შექმნას კონტენტი; გამომუშავებული აქვს წერის უნარი; ფლობს ციფრული ამბის თხრობისთვის საჭირო ხერხებსა და შესაბამის ტექნოლოგიებს (ტექსტი, ფოტო, აუდიო, ვიდეო თუ ვები);
- მოამზადოს და გაავრცელოს მულტიმედია პროდუქცია სხვადასხვა ციფრული პლატფორმებისა და აუდიტორიისთვის;

- დაამუშაოს და გაანალიზოს მონაცემები; წარმოადგინოს ისინი ვიზუალური ხერხებით;
- კრიტიკულად გაანალიზოს რთული ან არასრული ინფორმაცია; იყენებს კვლევისთვის შესაბამის მეთოდოლოგიას; ატარებს სოციალური მედიის ანალიზსა და მონიტორინგს; აყალიბებს დასკვნებს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებისა და ეთიკის სტანდარტების დაცვით.
- განახორციელოს ეფექტური კომუნიკაცია, როგორც კოლეგებთან, ისევე აუდიტორიასთან, მრავალფეროვან მედიაპლატფორმებზე.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

- გამომუშავებული აქვს პროფესიული პასუხისმგებლობა, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე ციფრული მედიაინდუსტრიის საჭიროებებიდან გამომდინარე, დამოუკიდებლად წარმართოს საკუთარი სწავლა.

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს, დარგის სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს; შემუშავებაში ჩართული იყვნენ პროგრამის აკადემიური პერსონალი და დამსაქმებლები.
პროგრამას განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი.
პროგრამას აქვს ლოგიკურად გააზრებული და მკაფიოდ განსაზღვრული კურიკულუმის რუკა, სადაც ნათლად ჩანს თითოეული სასწავლო კომპონენტის როლი და მნიშვნელობა პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების უზრუნველყოფაში, ასევე, განსაზღვრულია სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისათვის;
ციფრული მედიისა და კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ აშშ-ს ლოიოლას უნივერსიტეტის (ჩიკაგო, ილინოისის შტატი) ციფრული მედიისა და ვიზუალური ამბის თხრობის სამაგისტრო პროგრამის განმახორციელებლები, რაც კიდევ უფრო აძლიერებს პროგრამას და განსაზღვრული კომპეტენციები რელევანტურია არა მხოლოდ ადგილობრივი, არამედ საერთაშორისო ბაზრისთვის.
აღსანიშნავია, რომ ვინაიდან პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება მასობრივი კომუნიკაციის მაგისტრის კვალიფიკაცია და ასევე, რადგან პროგრამაში დასაქმების სფეროებად განსაზღვრულია საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურები და სოციალური მედიის მენეჯმენტს, უმჯობესია, რომ სტრატეგიული კომუნიკაციები და სოციალური მედიის სტრატეგია და კამპანიები არჩევითი საგნების ნაცვლად იყოს შეთავაზებული სავალდებულო კომპონენტად.
პროგრამას განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, დარგის სპეციფიკისთვის დამახასიათებალი პერიოდულობით;
სწავლის შედეგების შეფასების სისტემა და პერიოდულობა ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას, მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს, რომლებიც სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დადგენის საშუალებას იძლევა;
სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი შეფასების მეთოდები;
პროგრამას აქვს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისათვის; ხდება სწავლის შედეგების შეფასების შედეგების მონიტორინგი და სამიზნე ნიშნულებთან დადარება;
კერძოდ, „ციფრული მედიისა და კომუნიკაციის“ სამაგისტრო პროგრამისთვის შემუშავებული მექანიზმები უზრუნველყოფს პროგრამისთვის განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევაას და გაზომვას. შეფასება მოხდება როგორც რაოდენობრივი, ასევე

თვისებრივი მონაცემების დამუშავებით. შეფასებისთვის გამოყენებული იქნება როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მეთოდები:

პირდაპირი მეთოდები გულისხმობს სტუდენტების აკადემიური მოსწრების შეფასებას და მიღწეული შედეგების ანალიზს. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესში გამოიყენება შემდეგი სახის შეფასების ფორმები: ღია და დახურული შეკითხვები, პრეზენტაცია, პრაქტიკული დავალებები, ესსე, სემინარი, პროექტი და სამაგისტრო ნაშრომი. ღია და დახურული კითხვების შედეგების ანალიზი მოხდება დასკვნით გამოცდაზე.

პროგრამის სწავლის შედეგებს სასწავლო კურსები სამ დონეზე (**1 გაცნობა; 2 გაღრმავება; 3 განმტკიცება)** ავითარებს. სწავლის შედეგების დაკვირვებისთვის ავიღეთ მხოლოდ ის სასწავლო კურსები, სადაც ხდება სწავლის შედეგების გაღრმავება და განმტკიცება.
სწავლის შედეგებზე დაკვირვებისთვის პროგრამის შემუშავებაში ჩართულმა პერსონალმა განსაზღვრა 3 წელი.

სწავლის შედეგების შეფასებისას სასწავლო კურსები დაჯგუფებულია თითოეული სწავლის შედეგთან მიმართებით. აქვე განსაზღვრულია სამიზნე ნიშნულები, თუ რა დონით და სტუდენტთა რა პროცენტული მაჩვენებლით უნდა იქნეს მიღწეული კონკრეტული სწავლის შედეგი. შემდგომ ეტაპზე შესაბამისი ფაქტობრივი მონაცემების შევსების შედეგად მოხდება დაკვირვება და რეაგირება სამიზნე ნიშნულებიდან გადახრის ნორმალური დიაპაზონის (20%) დარღვევის შემთხვევაში, გადაიხედება სწავლის შედეგები და მისი მიღწევის მექანიზმები.

ასევე პირდაპირი მეთოდებით სწავლის შედეგების შეფასების პროცესში მიღებული შედეგებიდან საგანმანთლებლო პროგრამებზე საყურადღებოდ მივიჩნევთ კონკრეტულ შედეგს:

იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტთა ***40%-ზე მეტი*** მიიღებს (F შეფასებას) ჩაიჭრა/არადამაკმაყოფილებელ შეფასებას, მოხდება სწავლის შედეგებისა და მათი მიღწევის გზების გადახედვა;
საყურადღებო იქნება ისიც, თუ სტუდენტების ***40%-ზე მეტი*** მიიღებს უმაღლეს ქულას (A შეფასებას). ასეთ შემთხვევაში, მოხდება ამ საგანზე რამდენიმეწლიანი დაკვირვება და საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება სწავლებისა და შეფასების მეთოდები.

პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს, რაც ნათლად დადასტურდა ინტერვიუების დროს.
პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი იღებს მხარდაჭერას სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების განვითარებისთვის;

სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება ერთზე მეტი შემფასებლის მიერ;
სტუდენტები იღებენ უკუკავშირს, თუ რამდენად მიაღწიეს პროგრამის სწავლის შედეგებს, რაც დადასტურდა მომიჯნავე პროგრამის სტუდენტესა და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების დროს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- კურიკულუმის რუკა;
- სამიზნე ნიშნულები;

- დოკუმენტი - „პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი“
- სილაბუსები
- ვიზიტის დროს გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პრფესორებთან და მოწვეულ პერსონალთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან, ლოიოლას უნივერსიტეტის ანალოგი პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ინტერვიუები მომიჯნავე პროგრამების სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან;
- ინტერვიუები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- შრომის ბაზრის ანალიზი.

რეკომენდაციები:

- ვინაიდან პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება მასობრივი კომუნიკაციის მაგისტრის კვალიფიკაცია და ასევე, რადგან პროგრამაში დასაქმების სფეროებად განსაზღვრულია საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურები და სოციალური მედიის მენეჯმენტს, უმჯობესია, რომ სტრატეგიული კომუნიკაციები და სოციალური მედიის სტრატეგია და კამპანიები არჩევითი საგნების ნაცვლად იყოს შეთავაზებული სავალდებულო კომპონენტად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- ციფრული მედიისა და კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ აშშ-ს ლოიოლას უნივერსიტეტის (ჩიკაგო, ილინოისის შტატი) ციფრული მედიისა და ვიზუალური ამბის თხრობის სამაგისტრო პროგრამის განმახორციელებლები, რაც კიდევ უფრო აძლიერებს პროგრამას და განსაზღვრული კომპეტენციები რელევანტურია არა მხოლოდ ადგილობრივი, არამედ საერთაშორისო ბაზრისთვის.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და ნათლადაა ჩამოყალიბებული, კერძოდ, სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი. სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად - საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე „პროგრამაზე დაშვების პირობები უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის იხილეთ ბმულზე“ – https://iro.ibsu.edu.ge/en/home). გარდა ამისა, პროგრამაზე სწავლის მსურველმა უნდა ჩააბაროს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობაში და ინგლისურ ენაში (B2 დონე). უცხო ენის გამოცდის ჩაბარებისაგან თავისუფლდება განმცხადებელი, თუ მას ბოლო სამი წლის განმავლობაში აქვს დამთავრებული ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა და ამ პროგრამის ფარგლებში მისი ნიშნების საშუალო (GPA) არის სულ მცირე 75 (100-დან) ან 3 (4-დან), ან წარმოადგენს შესაბამისი ინგლისური ენის ცოდნის დონის (B2) დამადასტურებელ საერთაშორისო სერტიფიკატს. მნიშვნელოვანია, რომ უსდ-მ უფრო მკაფიოდ განსაზღვროს და წინასწარ ჰქონდეს შემუშავებული და წარმოდგენილი სპეციალობის შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის თემატიკა და თან ერთვოდეს პროგრამას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა ○ თვითშეფასების ანგარიში ○ ვიზიტის დროს გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, აკადემიურ პერსონალთან და მოწვეულ პერსონალთან
რეკომენდაციები: ○ პროგრამაზე დაშვების წინაპირობების ნაწილში მკაფიოდ უნდა განისაზღვროს და შემუშავდეს სპეციალობის შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის თემატიკა და კრიტერიუმები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა ითვალისწინებს უნივერსიტეტის პროგრამების დაგეგმვის და განვითარების მეთოდოლოგიას. პროგრამა დაგეგმილია ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით. როგორც კვლევებით, ისე ინტერვიუებით დასტურდება, რომ აკადემიური პერსონალი და დამსაქმებლები აქტიურად მონაწილეობდნენ პროგრამის შემუშავებაში, გააჩნდათ კონკრეტული რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებაც მოხდა პროგრამაში.

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას; პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს; პროგრამაში შემავალი

სასწავლო კომპონენტები (მათ შორის, თითოეული სასწავლო კურსი) არის თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგებული; შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები არის ადეკვატური; პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად;

- პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს და მოიცავს 60 კრედიტს - სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებისთვის; 30 კრედიტს - სამაგისტრო ნაშრომისთვის. 25 კრედიტი - არჩევითი კომპონენტისთვის, რომელიც მოიცავს სპეციალობის არჩევით სასწავლო კურსებს, ხოლო 5 კრედიტი - თავისუფალი კრედიტებისთვის.

სასწავლო კომპონენტებისთვის კრედიტების მინიჭებისას გათვალისწინებულია კურსების დატვირთვა და შინაარსობრივი სირთულე.

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ სამაგისტრო პროგრამა ცალკე სასწავლო კომპონენტად არ ითვალისწინებს აკადემიურ წერას, რაც მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისთვის და ამავდროულად, მისი არსებობა პროგრამაში უზრუნველყოფს სწავლების შემდეგი საფეხურისთვის კურსდამთავრებულთა მზაობას, როგორც ინტერვიუებიდან გამოიკვეთა აკადემიური წერა ინტეგრირებულია სასწავლო კომპონენტში „მედიისა და მასობრივი კომუნიკაციის კვლევის მეთოდები“, თუმცა სილაბუსში ეს არ არის ნათლად და მკაფიოდ განსაზღვრული. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ აკადემიური წერის სწავლება ხდებოდეს ან დამოუკიდებელ კომპონენტად ან ინკორპორირებული იყოს კვლევის მეთოდებთან და მოხდეს აღნიშნულის სილაბუსშიც ასახვა.

ასევე, კურსი სოციალური მედიის სტრატეგია და კამპანიები წარმოადგენს არჩევით კურსს, ხოლო სოციალური მედიის ანალიტიკა პროგრამის სავალდებულო კომპონენტია, რეალურად სოციალური მედიის ანალიტიკა, სწორედ დაგეგმილი და განხორციელებული სოციალური მედიის კამპანიის წარმატებისა და ეფექტიანობის გაზომვისა და შეფასების სწავლებას ემსახურება, რაც რთულად დასაძლევი იქნება, თუ სტუდენტმა არჩევითი საგნებიდან არ აიღო სოციალური მედიის სტრატეგიისა და კამპანიები კურსი. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ ციფრული მედიისა და კომუნიკაციების სამაგისტრო პროგრამაში, სოციალური მედიის სტრატეგიისა და კამპანიების სწავლება ხდებოდეს სავალდებულო სახით ან/და მოხდეს სოციალური მედიის კამპანიების მნიშვნელოვანი კომპონენტების ინტეგრირება სოციალური მედია ანალიტიკის კურსთან. აღნიშნული კომპეტენციის არსებობა კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროგრამის ციფრული მედია ფოკუსისა და პროგრამაში განსაზღვრული დასაქმების სფეროების გათვალისწინებით. პროგრამა

მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამის მიზნებსა და შედეგებს ითვალისწინებს და უზრუნველყოფს აღნიშნულს კურიკულუმით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა ○ თვითშეფასების ანგარიში ○ სილაბუსები ○ ვიზიტის დროს გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესორებთან
რეკომენდაციები: ○ სამაგისტრო პროგრამა ცალკე სასწავლო კომპონენტად არ ითვალისწინებს აკადემიურ წერას, რაც მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისთვის და ამავდროულად, მისი არსებობა პროგრამაში უზრუნველყოფს სწავლების შემდეგი საფეხურისთვის კურსდამთავრებულთა მზაობას, როგორც ინტერვიუებიდან გამოიკვეთა აკადემიური წერა ინტეგრირებულია სასწავლო კომპონენტში „მედიისა და მასობრივი კომუნიკაციის კვლევის მეთოდები “, თუმცა სილაბუსში ეს არ არის ნათლად და მკაფიოდ განსაზღვრული. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ აკადემიური წერის სწავლება ხდებოდეს ან დამოუკიდებელ კომპონენტად ან ინკორპორირებული იყოს კვლევის მეთოდებთან და მოხდეს აღნიშნულის სილაბუსშიც ასახვა. ○ პროგრამაში კურსი სოციალური მედიის სტრატეგია და კამპანიები წარმოადგენს არჩევით კურსს, ხოლო სოციალური მედიის ანალიტიკა პროგრამის სავალდებულო კომპონენტია, რეალურად სოციალური მედიის ანალიტიკა, სწორედ დაგეგმილი და განხორციელებული სოციალური მედია კამპანიის წარმატებისა და ეფექტიანობის გაზომვისა და შეფასების სწავლებას ემსახურება, რაც რთულად დასაძლევი იქნება, თუ სტუდენტმა არჩევითი საგნებიდან არ აიღო სოციალური მედიის სტრატეგიისა და კამპანიების კურსი. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ ციფრული მედიისა და კომუნიკაციების სამაგისტრო პროგრამაში, სოციალური მედიის სტრატეგიისა და კამპანიების სწავლება ხდებოდეს სავალდებულო სახით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის თითოეულის სასწავლო კურსის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. პროგრამის ერთ-ერთი ძლიერი მხარე შეთავაზებული კურსების მრავალფეროვნებაა. ასევე მისასალმებელია, რომ კურსების კურატორები და ლექტორები ხშირ შემთხვევაში დარგის პრაქტიკოსები არიან, რაც მნიშვნელოვანია, როგორც პროგრამის ფარგლებში პრაქტიკული უნარ-ჩვევების განსავითარებლად, ასევე სტუდენტების მომავალი დასაქმების კუთხითაც.

სასწავლო კურსების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება კურსის სირთულესა და სწავლის შედეგებს. ამასთანავე, კურსების სწავლის შედეგები გაზომვადი და ლოგიკურია.

კურსის სწავლის შედეგების პროგრამის სწავლის შედეგებთან და შესაბამის საფეხურთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად არსებობს სწავლის შედეგების რუკა, რომელიც დეტალურად აღწერს პროგრამის რომელ სწავლის შედეგზე გადის ესა თუ ის სასწავლო კურსი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პროგრამის სილაბუსების შესწავლამ აჩვენა, რომ სასწავლო კურსების შინაარსისა და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, კურსებში

განსაზღვრულია შესაბამისი სწავლა-სწავლების მეთოდები. თითოეული კურსის სილაბუსში აღწერილია სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები, კრიტერიუმები და რუბრიკები. შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები დამაკმაყოფილებლად აფასებენ კურსის მიზნებით განსაზღვრულ სწავლის თითოეულ შედეგს. კურსის სილაბუსებში მითითებულია სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო სავალდებულო და დამხმარე რესურსები და ლიტერატურა. კურსის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, მათი ელექტრონული ვერსია განთავსებულია ბიბლიოთეკის პორტალზე და სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემის საშუალებით. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის სამეცნიერო ელექტრონული ბაზებზე ხელმისაწვდომობას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კურსების სილაბუსებით განსაზღვრული ლიტერატურა მეტწილად განახლებას და გამრავალფეროვნებას საჭიროებს, მით უფრო ისეთი მუდმივად ცვლადი და განვითარებადი სფეროს შემთხვევაში, როგორიცაა ციფრული კომუნიკაციებია. მნიშვნელოვანია, რომ ლიტერატურა განახლდეს შემდეგ კომპონენტებში: ციფრული პროდუქცია: ამბის თხრობის ხერხები 1 (ნესტან ცეცხლაძე, კონსტანტინე სტალინსკი „ინტერნეტი და ჟურნალისტიკა“, 2015), ციფრული თხრობა (Storycraft: The Complete Guide to Writing Narrative Nonfiction (Chicago Guides to Writing, Editing, and Publishing) Paperback – October 12, 2012), შესავალი ციფრულ მედიაში (2.Lindgren, S. Digital Media & Society, Sage, 2017; 3.Digital Media Handbook, 2010), კურსში მულტიმედია დამატებით ლიტერატურაში წყაროებად მითითებული Wikipedia და აუცილებლად უნდა ჩანაცვლდეს სამაგისტრო საფეხურისთვის შესაბამისი წყაროებით, ასევე, შესაძლოა მოხდეს პროექტების ასაწყობად გამოსაყენებული ვებსაიტების და დამახმარე საიტების გარჩევა (http://explainervideosoftware.webstarts.com; https://www.videoscribe.co/en/; https://storymaps.arcgis.com/en/#; http://storymaps.esri.com/stories/2016/electricity/index.html; http://storymaps.esri.com/stories/2016/wealth-divides/index.html) და არა ვიკიპედიის წყაროდ გამოყენება; კურსში სოციალური მედიის ანალიტიკა ჩანაცვლდეს თანამედროვე წყაროებით Ed. by M. Sponder, “Social Media Analytics”, 2012.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა ○ თვითშეფასების ანგარიში ○ კურსების სილაბუსები ○ ვიზიტის დროს ბიბლიოთეკის რესურსების დათვალიერება ○ შეხვედრა პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესორებთან
რეკომენდაციები:

კურსების სილაბუსებით განსაზღვრული ლიტერატურა მეტწილად განახლებას და გამრავალფეროვნებას საჭიროებს, მით უფრო ისეთი მუდმივად ცვლადი და განვითარებადი სფეროს შემთხვევაში, როგორიცაა ციფრული კომუნიკაციებია.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა შემუშავებულია იმგვარად, რომ უზრუნველყოს სტუდენტთა პრაქტიკული უნარების განვითარება, როგორც ცალკეულ არჩევით კომპონენტად სტაჟირების შეთავაზებით, ისე კურსების ფარგლებში აქტიურად არის ინკორპორირებული პრაქტიკული კომპონენტი. კურსები პროექტული სახის დავალებებით არის დატვირთული, აკადემიური პერსონალი კი თავის მხრივ, პრაქტიკოს ლექტორებს წარმოადგენენ,

შესაბამისად, კურსების ფარგლებში უზრუნველყოფილია სტუდენტთა პრაქტიკული უნარების გამომუშავება.

პრაქტიკის გავლა სავალდებულოა მათთვის, ვინც არ მუშაობს სპეციალობით და საჭიროებს პრაქტიკული გამოცდილების დაგროვებას დარგში; იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი უკვე მუშაობს სპეციალობით, მას შეუძლია პრაქტიკის ჩანაცვლება სხვა არჩევითი სასწავლო კურსებით სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით; ვინაიდან პროგრამის და კურიკულუმს მიღმა არსებული გამოცდილებისა თუ უნარების/არაფორმალური განათლების აღიარება არ ხდება უმაღლეს განათლებაში, მიზანშეწონილია პრაქტიკის კომპონენტი არჩევითი სახით იყოს შეთავაზებული პროგრამის ფარგლებში, თანაბრად ყველა სტუდენტისთვის და პროგრამის განმახორციელებელმა პირებმა გაუწიონ კონსულტაციები და მისცენ რეკომენდაციები ინდივიდუალურად სტუდენტებს პროფილის დაგეგმვასთან დაკავშირებით.

აქვე აღსანიშნავია, რომ სტაჟირების სილაბუსში უფრო ზოგადად არის წარმოდგენილი სტაჟირებაზე მყოფი სტუდენტის დატვირთვა და არ ჩანს კონკრეტულად რა აქტიობები დაევალება მას, (მოცემულია მხოლოდ ზოგადი ჩანაწერი ყველა კვირაში „სფეროსთან დაკავშირებული დავალებების შესრულება სტაჟირების მენტორის მეთვალყურეობის ქვეშ“) ამავდროულად, არ არის მკაფიოდ განსაზღვრული სილაბუსში პრაქტიკის განმახორციელებელი კონკრეტული ობიექტები. ასევე, ზოგადია შეფასების კრიტერიუმები, სადაც ნათლად არ ჩანს, კონკრეტულად რა კომპეტენციების მიხედვით მოხდება სტუდენტთა სტაჟირებაზე შეფასება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს სტაჟირების ფარგლებში სტუდენტთა დატვირთვის, აქტიობების და შეფასების კრიტერიუმების დაზუსტება და მეტი კონკრეტიზაცია, ისევე, როგორც აუცილებლად უნდა განისაზღვროს პრაქტიკის განმახორციელებელი ობიექტები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- სილაბუსები
- პროგრამის ხელმძღვანელთან, პერსონალთან შეხვედრები
- მემორანდუმები
- შეხვედრა პოტენციურ დამსაქმებლებთან

რეკომენდაციები:

- მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს სტაჟირების ფარგლებში სტუდენტთა დატვირთვის, აქტიობების და შეფასების კრიტერიუმების დაზუსტება და მეტი კონკრეტიზაცია,

ისევე, როგორც აუცილებლად უნდა განისაზღვროს პრაქტიკის განმახორციელებელი ობიექტები.

- მიზანშეწონილია პრაქტიკის კომპონენტი არჩევითი სახით იყოს შეთავაზებული პროგრამის ფარგლებში თანაბრად ყველა სტუდენტისთვის და არ ჰქონდეს განსხვავებული სტატუსი დასაქმებული/დაუსაქმებელი სტუდენტების მიხედვით და პროგრამის განმახორციელებელმა პირებმა გაუწიონ კონსულტაციები, მისცენ რეკომენდაციები ინდივიდუალურად სტუდენტებს პროფილის დაგეგმვასთან დაკავშირებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სწავლების მეთოდები ინდივიდუალურადაა შერჩეული თითოეული კურსისთვის, რაც მისასალმებელია. სწავლის მეთოდები შეესაბამება მაგისტრატურის საფეხურს და უზრუნველყოფს სტუდენტის ჩართულობას დისკუსიებსა და სემინარებში. სწავლა-სწავლების მეთოდები შესაბამისობაშია განსავითარებელ დარგობრივ და ზოგადი კომპეტენციებთან.

პროგრამა გამოიყენებს სწავლების სხვადასხვა მეთოდებს, რომელნიც უზრუნველყოფს ადეკვატურ სასწავლო პროცესს, როგორიცაა:

- წიგნზე მუშაობის მეთოდი, რომელიც ძირითადად სწავლის პროცესში გამოიყენება. სტუდენტი ამუშავებს თემატიკისათვის საჭირო მასალას მითითებული ლიტერატურის და სხვა წყაროების გამოყენებით;
- დემონსტრირების მეთოდი, რომელიც ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ლექტორის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად. ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს;
- დისკუსია/დებატები - ინტერაქტიური სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ ლექტორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს;
- სიმულაცია, როლური და სიტუაციური თამაშები - თამაშების ტიპის აქტივობა, რომლებიც მოიცავენ საქმიან (როლურ) თამაშებს, დიდაქტიკურ ანუ სასწავლო თამაშებს, სათამაშო სიტუაციებს (სიტუაციურ თამაშებს), სათამაშო ხერხებსა და პროცედურებს. წინასწარ შემუშავებული სცენარის მიხედვით განხორციელებული თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედონ საკითხს. იგი ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, ეს თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.

- პროექტი - არის სასწავლო-შემეცნებითი ხერხების ერთობლიობა, რომელიც პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა სტუდენტის დამოუკიდებელი მოქმედებებისა და მიღებული შედეგების აუცილებელი პრეზენტაციის პირობებში. ამ მეთოდით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებულად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ, დამაჯერებლად და კონკრეტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად. დასრულების შემდეგ პროექტი წარედგინება ფართო აუდიტორიას.
- პრეზენტაცია (სტუდენტის / სტუდენტების მიერ) - თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების გათვალისწინებით პრეზენტაცია წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ინტერაქტიულ და, თვალსაჩინოების კუთხით, ყველაზე ეფექტურ მიდგომას. იგი არის სასწავლო-შემეცნებითი ხერხების ერთობლიობა, რომელიც პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის და მიღებული შედეგების პრეზენტაციის პირობებში. იგი ამაღლებს სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის მოტივაციას, ასევე, ავითარებს კონკრეტულ უნარ-ჩვევებს - დაგეგმვა, კვლევის ჩატარება და მონაცემებისა თუ არგუმენტების თვალსაჩინოდ, დამაჯერებლად წარმოდგენა. იგი ასევე ავითარებს ინდივიდუალურად თუ ჯგუფურად მუშაობის უნარს.
- ელექტრონული საშუალებებით სწავლა/სწავლება - გულისხმობს სწავლებას და სწავლას ინტერნეტითა და მულტიმედიური საშუალებებით. იგი მოიცავს სწავლების პროცესის ყველა კომპონენტს, რომელთა რეალიზება ხდება ინტერნეტისა და მულტიმედიური სპეციფიკური საშუალებებით.
- ამოცანების ამოხსნა - კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტის საშუალებით თეორიული მასალის თანდათანობითი შესწავლა, რაც თეორიული მასალის დამოუკიდებლად გამოყენების ჩვევების გამომუშავების საფუძველია. პრაქტიკული მეცადინეობისას პედაგოგი ყურადღებას ამახვილებს ამოცანათა გადაწყვეტის მეთოდიკაზე, ნახაზების, სქემების შესრულებაზე, გაანგარიშებებში შესაბამისი ტექნიკის გამოყენებაზე.
- პრობლემების გადაჭრა - აქტივობა, რომელიც სტუდენტის მიერ მიღებული თეორიული ცოდნის გამოყენების საშუალებას იძლევა კონკრეტული პრობლემის შესწავლის, ანალიზისა და გადაჭრის გზით. მისი გამოყენებისას მნიშვნელოვანია

ყურადღება მიექცეს პრობლემის გადაჭრით მიღებული შედეგების შეფასებასა და ანალიზს. ამ მეთოდის გამოყენებით სტუდენტს უვითარდება ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარი.

- ჯგუფური (collaborative) მუშაობა - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში;
- თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება - იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს;
- გონებრივი იერიში (Brain storming) - ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედგება რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან;
- ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი - სწავლების ინდუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან კონკრეტულისაკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.
- სწავლების დედუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.
- სასწავლო პროცესში ანალიზის მეთოდი გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლების შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

- სინთეზის მეთოდი გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას;
- ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდები - მოითხოვს ლექტორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

სწავლების მეთოდები ინდივიდუალურადაა შერჩეული თითოეული კურსისთვის, რაც მისასალმებელია. სწავლის მეთოდები შეესაბამება მაგისტრატურის საფეხურს და უზრუნველჰყოფს სტუდენტის ჩართულობას დისკუსიებსა და სემინარებში. სწავლა-სწავლების მეთოდები შესაბამისობაშია განსავითარებელ დარგობრივ და ზოგადი კომპეტენციებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- სილაბუსები
- პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესორებთან შეხვედრები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად, სამართლიანად გამოიყენება ყველა სტუდენტის მიმართ, რაც მთავარია გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. სტუდენტების შეფასება ხდება სასემინარო აქტივობებში მონაწილეობით, პრეზენტაციებით, შუალედურით და დასკვნითი გამოცდით. სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას. შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები არის გამჭვირვალე, თუმცა რამდენიმე სილაბუსში არ არის გაწერილი ცალკეული შეფასების კომპონენტების კონკრეტული მოთხოვნები და კრიტერიუმები, ასე მაგალითად, ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების შემთხვევაში, გვხვდება შეფასების კომპონენტად პროექტი, თუმცა, რა ევალება სტუდენტს აღნიშნული პროექტის მომზადების დროს და რა კრიტერიუმებით შეფასდება არ არის წარმოდგენილი, ასევე, ფაქტობრივად ყველა სილაბუსში (მაგალითად, ერთერთი ინტერვიუ ციფრულ მედიაში, ციფრული მედია დიზაინი და სხვ.) გვხვდება შეფასების კომპონენტის სახით- აქტიურობა (15 ქულა), როგორც ეს ინტერვიუებიდან გაირკვა, აღნიშნული აქტივობები არის - ქეისების განხილვა, დისკუსიები და სხვა პრაქტიკული დავალებები, სასურველია, რომ უფრო ნათლად ჩამოყალიბდეს შუალედური შეფასების ეს კონკრეტული კომპონენტი და ნათლად გაიწეროს რომელ კვირებში, რა სახის დავალებებით ფასდება და რა კონკრეტული კრიტერიუმებით.

უნივერსიტეტში არსებობს აპელაციის სისტემა და სტუდენტს შესაძლებლობა აქვს ნახოს თავისი ნაწერი ან შესაბამისი კომისიის თანდასწრებით განიხილოს გამოცდის ქულა. მომიჯნავე დარგის სტუდენტებთან ინტერვიუების დროს გამოირკვა, რომ სტუდენტები უნივერსტეტში არსებული შეფასების მექანიზმების შესახებ ფლობენ ინფორმაციას. აკადემიური პერსონალი ითვალისწინებს სტუდენტის ინტერესებს ჩამოთვლილ საკითხებთან დაკავშირებით და რეაგირებს სტუდენტის თხოვნასა და წინადადებაზე.

დასკვნითი შეფასების მისაღებად სტუდენტი გამოცდაზე დაიშვება შუალედური შეფასებების მაქსიმალური 60 ქულიდან მინიმუმ 20 ქულის მოგროვების შემთხვევაში.
დამატებით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ მან საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მოაგროვა 41 - 50 ქულა ან მინიმუმ 51 ქულა, მაგრამ ვერ მოაგროვა მინიმუმ 15 ქულა დასკვნითი შეფასების მაქსიმალური 40 ქულიდან.
კრედიტის მინიჭება შესაძლებელია:

ა) დასკვნითი შეფასების მაქსიმალური 40 ქულიდან მინიმუმ 15 ქულის მოგროვების შემთხვევაში;

ბ) საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში.

ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ სტუდენტები იღებენ უკუკავშირს, სწავლის შედეგებზე, აგრეთვე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეებისა შედეგების გაუმჯობესების შესახებ ინფორმაციას. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტის პროგრესის პერიოდულ შეფასებას.

სამაგისტრო ნაშრომის დაცვა საჯაროა. სტუდენტს სამაგისტრო ნაშრომის დაცვა უხდება შესაბამის ხელმძღვანელის, კომისიისა და რეცენზენტის წინაშე. მაგისტრანტის საბოლოო შეფასების პროცედურები რეგულირდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულებით. სამაგისტრო ნაშრომის შეფასებისას მოცულობა განსაზღვრულია 60-70 გვერდით, უმჯობესია მოხდეს სამაგისტრო ნაშრომის სიტყვების რაოდენობით განსაზღვრა და დადგინდეს მაქსიმალური და მინიმალური რაოდენობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუ სტუდენტებთან;
- ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან.
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- სასწავლო კურსის პროგრამა და სილაბუსები;

რეკომენდაციები:

- მნიშვნელოვანია სილაბუსებში მკაფიოდ ჩამოყალიბდეს ცალკეული შეფასების კომპონენტების შინაარსი და კრიტერიუმები.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და თვითშეფასების ანგარიშის შესწავლისა და ანალიზის, ასევე ადგილზე განხორციელებული ვიზიტის ფარგლებში, სტუდენტებთან ინტერვიუების დროს, გამოიკვეთა ძირითადი სურათი ამ მიმართულებით.

დაწესებულების ბაზაზე, მოქმედებს შიდა კომპლექსური დანიშნულების ვებგვერდი, რომლის მეშვეობითაც სტუდენტებს, ინდივიდუალური პროფილის გამოყენებით, შესაძლებლობა აქვთ კომუნიკაცია დაამყარონ, დაწესებულების აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან. სტუდენტების ინფორმირებულობისთვის, უნივერსიტეტი აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელებს, ელექტრონული მიმოწერის საშუალებებს და უნივერსიტეტის ვებგვერდს. სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი საჭირო ინფორმაციას იღებს უნივერსიტეტის, როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული პერსონალისგან.

დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს სტუდენტებთან კონსულტაციებს, სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით. სტუდენტები კითხვარების საშუალებით აფასებენ გავლილი სასწავლო კურსის სირთულეს, საჭიროებას და ლექტორის ცოდნისა და უნარების შესაბამისობას. ინტერვიუების დროს, სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტი პროგრამის განვითარების პროცესში ითვალისწინებს სტუდენტთა რეკომენდაციებს. სტუდენტებს შეუფერხებელი წვდომა აქვთ სასწავლო კურსის სილაბუსებსა და მასში მითითებულ ლიტერატურაზე.

აღნიშნული პროგრამის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ჩაერთონ დაწესებულების ეგიდით გამართულ სასწავლო-სპორტულ ღონისძიებებში, ასევე საერთასორისო პროექტებშიც. უნივერსიტეტში გამართულია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. სტუდენტს სრული წვდომა აქვს უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო და ელექტრონულ რესურსებზე. უნივერსიტეტში შექმნილი გარემო არსებულ სტანდარტებს სრულად აკმაყოფილებს.

უნივერსიტეტს აქვს საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობები, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ მონაწილეობის მიღება, ამავდროულად, ფუნქციონირებს მედია ცენტრი, რომლის ფარგლებში ხდება გადაცემების მომზადება, საუნივერსიტეტო გაზეთის გამოცემა და სხვ, აღნიშნულ პროექტებში ჩართვის შესაძლებლობა ექნებათ მაგისტრატურის სტუდენტებსაც. ასევე, აღსანიშნავია ისიც, რომ დაწესებულებას აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები სხვადასხვა ორგანიზაციასთან, სადაც პრაქტიკისა და დასაქმების შესაძლებლობა ექნებათ მაგისტრანტებს. აღნიშნული დაადასტურეს პოტენციურმა დამსაქმებლებმა ინტერვიუს დროს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან;
- კითხვალი და ანალიზი;

- უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- ინტერვიუ სტუდენტებთან;
- ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აუცილებელია სტუდენტმა დაწეროს და დაიცვას სამაგისტრო ნაშრომი, რომლის მიზანია გამოუმუშაოს მაგისტრანტს სამეცნიერო-კვლევითი პრაქტიკა. ღრმად და სისტემურად დაეუფლოს საკვლევი დარგის თეორიულ ცოდნას, პრაქტიკულ და კვლევით უნარებს. უნივერსიტეტის სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის პროცედურის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, დაცვისა და შეფასების

ინსტრუქციაში. სტუდენტს შეუძლია, საკვლევი თემის სპეციფიკის გათვალისწინებით, ხელმძღვანელი აარჩიოს როგორც უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალიდან, ასევე სხვა უსდ-ს აკადემიური პერსონალიდან.

დამტკიცებულ თემაზე სტუდენტი მუშაობს ხელმძღვანელთან კონსულტაციების რეჟიმში. ხელმძღვანელი სტუდენტს ეხმარება კვლევის გეგმის შედგენაში და კვლევის პროცესთან დაკავშირებულ ყველა საჭირო კომპონენტში.

მაგისტრანტების ხელმძღვანელები ეწევიან აქტიურ სამეცნიერო საქმიანობას, რაც დასტურდება უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული დოკუმენტით, პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის საერთაშორისო და ადგილობრივი პუბლიკაციების შესახებ.

ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ გადაეხედათ მომიჯნავე სამაგისტრო ნაშრომებისთვის. მოცემული ნაშრომები სტანდარტების დაცვითაა შესრულებული.

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები გაწერილია სამაგისტრო სწავლების დებულებაში დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ 23/08/2016წ. - გადაწყვეტილება №7 (დანართი №:6) .

პროგრამაში წარმოდგენილ აკადემიურ პერსონალს უდასტურდება ხელმძღვანელისთვის საჭირო კვლევითი და სამეცნიერო/პრაქტიკული დარგობრივი კომპეტენცია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საკვალიფიკაციო ნაშრომის ხელმძღვანელი;
- სამაგისტრო სწავლების დებულება;
- დაცული სამაგისტრო ნაშრომების სია;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV;
- აკადემიური პერსონალის კვლევის მაჩვენებელი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-

კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;

- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა „ციფრული მედია და კომუნიკაციები“ ხორციელდება გამორჩეული კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ, რომლებსაც გააჩნიათ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი ყველა კომპეტენცია. აღსანიშნავია, რომ პროგრამის ერთ-ერთ ძლიერ მხარეს წარმოადგენს, სწორედ, პერსონალის როგორც პრაქტიკული გამოცდილება, ისე დარგის აკადემიური ცოდნა. მათი უმრავლესობა დღესაც კი პრაქტიკოსი ჟურნალისტი ან კომუნიკაციის სფეროში დასაქმებული პირია, რაც ერთ-ერთი წინაპირობაა იმისა, რომ სტუდენტებს თანამედროვე გამოწვევებისა და შესაძლებლობების შესახებ ყოველთვის განახლებული ინფორმაცია მიაწოდონ. ამასთან, პროგრამაში დასაქმებული აკადემიური პერსონალის დიდი ნაწილი ამავე დარგის წარმომადგენიელია. პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალიდან რვა პირია აფილირებული (მთლიანი რაოდენობის 45%), რაც პროგრამის ძლიერ მხარეს წარმოადგენს. მთლიანობაში პროგრამაზე 18 ლექტორია მიმაგრებული, რომელთა საკმარისი რაოდენობა დოქტორის ხარისხის მფლობელია. როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალის შემთხვევაში გვხვდება პრაქტიკული საქმიანობის მრავალწლიანი გამოცდილება, საერთაშორისო თუ ადგილობრივ პროექტებში ჩართულობა, ისევე, როგორც ბოლო 5 წლის განმავლობაში დარგობრივი სამეცნიერო პუბლიკაციების საკმარისი რაოდენობა, რაც დასტურდება მათი პირადი საქმეებით.

პროგრამის ხელმძღვანელი გამოირჩევა სამეცნიერო-კვლევითი და სწავლების მრავალწლიანი გამოცდილებით, რაც პროგრამის განვითარების თვალსაზრისით უპირატესობას წარმოადგენს. ინტერვიუებით დადასტურდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი თავად არის აქტიურად ჩართული პროგრამის შემუშავებაში, ადამიანური რესურსის განსაზღვრაში. ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით, პროგრამის ძლიერ მხარეს წარმოადგენს ის გარემოება, რომ დოკუმენტებით ასევე დასტურდება, რომ პროგრამის შექმნის პროცესში აქტიურად იყო ჩართული პარტნიორი ამერიკული უნივერსიტეტი და უცხოელი პროფესორები. აღსანიშნავია, რომ პროგრამის ხელმძღვანელი

აქტიურად თანამშრომლობს არა მხოლოდ დაწესებულების შესაბამის რგოლებთან, არამედ პოტენციურ დამსაქმებლებთან და სწორედ მათთან თანამშრომლობით დაიხვეწა აღნიშნული პროგრამა. დამსაქმებლებთან ინტერვიუებმა ეს ცხადად დაადასტურა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ინტერვიუები სტუდენტებთან, აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან, ადმინისტრაციასთან ○ პერსონალის სამუშაო აღწერილობები-უნივერსიტეტის დებულება; პროგრამის განხორციელების წესი; ○ პერსონალის პირადი საქმეები; ○ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალის ჩამონათვალი; ○ პროგრამის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია- სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია; ○ პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები, ხელშეკრულება და პირადი საქმე.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დაწესებულებაში, როგორც ეს ინტერვიუებითა და წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, ხორციელდება აკადემიური პერსონალის შეფასება და ხდება პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. პროგრამის დადებით მხარეს წარმოადგენს აკადემიური პერსონალისთვის ამერიკელ კოლეგებთან მჭიდრო თანამშრომლობის შესაძლებლობა. დოკუმენტებში ვრცლად არის მოცემული ინფორმაცია პერსონალისთვის ჩატარებული ტრენინგების შესახებ, რომლებიც ეხებოდა სწავლა-სწავლების მეთოდოლოგიის გაუმჯობესებასა და კვლევით საქმიანობაში მხარდაჭერას. ამასთან, აღსანიშნავია, რომ როგორც ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაცია ხელს უწყობს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო / კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. მათ აქვთ შესაძლებლობა უნივერსიტეტის დაფინანსებით დაესწრონ სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციას და მიიღონ მხარდაჭერა პუბლიკაციების მომზადებისა და სამეცნიერო კვლევების პროცესში. ასევე, როგორც ინტერვიუებით დადგინდა, შემუშავებულია ბონუსური სისტემა, რის ფარგლებშიც როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში პუბლიკაციების გამოქვეყნების შემთხვევაში ხდება აკადემიური პერსონალის წახალისება. (500 ლარიდან - 1500 ლარის ფარგლებში) მთლიანობაში, დაწესებულება ხელს უწყობს პერსონალს კვალიფიკაციის ამაღლებაში, თუმცა სასურველი იქნება დამატებითი ტრენინგები თუ მამოტივირებელი მექანიზმები არსებობდეს რეფერირებად ჟურნალებში პუბლიკაციების გამოქვეყნების სტიმულირებისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ინტერვიუები ვიზიტის დროს ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
○ **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიბლიოთეკა მოწესრიგებული დაგვხვდა და შემთხვევითი შერჩევით სილაბუსებიდან ამოკრეფილი ლიტერატურაც იძებნებოდა. სასწავლო ლიტერატურა გაციფრულებულია, რაც უადვილებთ სტუდენტებს წიგნებზე წვდომას. ასევე, სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია საერთაშორისო სამეცნიერო ბაზები. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტს გააჩნია თანამედროვე ინფრასტრუქტურა და აღჭურვილია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ყველა აუცილებელი ინფრასტრუქტურული რესურსით. კომპიუტერებით აღჭურვილი აუდიტორიები პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი კურსების სრულყოფილ განხორციელებას შესაძლებელს ხდის, რადგან სტუდენტებს მიუხედავად იმისა, პირადად აქვთ თუ არა კომპიუტერი და პროგრამებზე წვდომა, შესაძლებლობა ეძლევათ ყველა პროგრამას

სრულყოფილად დაეუფლონ საუდიტორიო სწავლების პროცესში. ამასთან, ინტერვიუების ფარგლებში ისიც დავადგინეთ, რომ პანდემიის დაწყებისთანავე სხვა პროგრამის მოქმედ სტუდენტებს სთავაზობდნენ როგორც დროებით პირად სარგებლობაში კომპიუტერების გადაცემას, ისე საკუთარ კომპიუტერებში საჭირო პროგრამების ჩატვირთვას, რაც სტუდენტების საჭიროებაზე ორიენტაციის კარგი მაგალითია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საბიბლიოთეკო ბაზები ○ შეფასების დროს შენობის დათვალიერება ○ სილაბუსები
რეკომენდაციები: ○
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი ბიუჯეტი გასაგებადაა აგებული, თუმცა რადგან აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამა მაგისტრატურის საფეხურისთვისაა შედგენილი, სასურველია, გადაიხედოს როგორც კვლევითი კომპონენტის ხარჯი, ისე წიგნების შესყიდვისთვის გამოყოფილი თანხები. ასევე, როგორც ინტერვიუებიდან გაირკვა, პროგრამის ბიუჯეტის მიღმა, უნივერსიტეტი ახდენს თანხების გამოყოფას, როგორც ლიტერატურის განახლების, ისე სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის მიზნით. აღნიშნული უფრო ნათლად უნდა იყოს წარმოდგენილი ბიუჯეტში, რომ პროგრამის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა მოხდეს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის ბიუჯეტი

რეკომენდაციები:

მიუხედავად იმისა, რომ ბიუჯეტში განმარტებულია, რომ საჭიროების შემთხვევაში პროგრამა ფინანსურად მხარდაჭერილი იქნება უნივერსიტეტის და ფაკულტეტის შემოსავლებით, მაინც რეკომენდაციის სახით,მიზანშეწონილია ბიუჯეტში დაკორექტირდეს და ცხადი გახდეს კვლევით საქმიანობისთვის განსაზღვრული დამატებითი თანხა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			

5. სწავლებისხარისხისგანვითარებისშესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შავი ზღვის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ***ციფრული მედია და კომუნიკაცია*** შედარება აკრედიტაციის სტანდარტებთან განხორციელდა დისტანციურ რეჟიმში, სადაც უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ საქმიან, მშვიდ და აკადემიურ ვითარებაში, მხარდაჭერილი იყო დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა ფაზა. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საკუთარ ქედებასა და აქტივობას ახორციელებს რამდენიმე მიმართულებით, როგორც ეს დადგენილია საერთაშორისო სტანდარტებით და ნორმებით, კერძოდ, სწავლა-სწავლება, კვლევა, მართვა და სერვისები. სამსახურის მიერ წინამდებარე პროცესების სრულყოფილად განვითარების მიზნით მომზადებულია და შეთავაზებულია კონკრეტული რეგულაციები, პროცედურებისა და პროცესების აღმწერი სახელმძღვანელო დოკუმენტები, რომელთაც საფუძვლად უდევს არამარტო საერთაშორისო რეგულაციები და დოკუმენტები, არამედ საქართველოს კანონდებლობის მნიშვნელოვანი წესები და რეგულაციები, რომელიც საფუძველს ქმნის უნივერსიტეტში ხარისხის კულტურის ამაღლებისათვის, ემყარება რა უნივერსიტეტის მისიასა და ღირებულებებს, დარგების სპეციფიკას, საზოგადოების მოთხოვნებსა და უახლეს გამოწვევებს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში. საუნივერსიტეტო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური არეგულირებს, აწესრიგებს და მართავს ყველა მნიშვნელოვან აკადემიურ პროცესს საუნივერსიტეტო სივრცეში. ის თავის თავზე იღებს მმართველ პოზიციებს, გეგმავს, აახლებს, ანვითარებს და აზიარებს სიახლეებსა და ინოვაციებს არსებულს არამარტო ქართულ, არამედ საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში. ის, გამომდინარე საფაკულტეტო და დარგობრივი სპეციფიკიდან, ინდივიდუალურად ხედავს და აფასებს კონკრეტულ პროცესებს, ავითარებს მათ და მხარს უჭერს სწავლა-სწავლების, კვლევისა და სერვისების პროცესების გაუმჯობესებაში. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა დეტალურადაა გადმოცემული ***უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებაში, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების ინსტრუქციაში,*** რომელთა შემუშავება მოხდა უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების (ESG), „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციისა და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების, უნივერსიტეტის წესდების, მისიის, სტრატეგიული განვითარების გეგმის, სამოქმედო გეგმისა და სხვა საუნივერსიტეტო რეგულაციების მიხედვით), რაც მიმართულია ინსტიტუციური ხარისხის მუდმივ განვითარებაზე. წინამდებარე სამოქმედო დოკუმენტების განახლება ხდება პერიოდულად განათლების სფეროში მიმდინარე სიახლეებისა და უსდ-სთვის წაყენებული ახალი მოთხოვნების შესაბამისად, რასაც ასევე ხელმძღვანელობს სამსახური. უნდა აღინიშნოს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მნიშვნელობა და ფუნქცია კარგად სჩანს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების დებულებებაში მოცემული ცალკეული საუნივერსიტეტო სტრუქტურის აღმწერ მუხლებში, სადაც სამსახური გარკვეულწილად მხარს უჭერს და მონიტორინგის ფუნქციით თანამშრომლობს საუნივერსიტეტო სტრუქტურებთან. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს დეტალურად აქვს სამსახურის მოქმედების შიდა მექანიზმები გაწერილი. სამსახური მუშაობს პრინციპით: ***დაგეგმე - განახორციელე-შეამოწმე - განავითარე.***

შიდა მექანიზმების საშუალებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად ატარებს კვლევებს, ახორციელებს საგანმანათლებლო პროცესის მონიტორინგს, აანალიზებს კვლევისა და მონიტორინგის შედეგებს და ახორციელებს გაანალიზებული ინფორმაციის მიწოდებას პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალისთვის. პროგრამის განმახორციელებელი პირები ეცნობიან კვლევის შედეგებს (მათ შორის ბაზრის კვლევის.), ითვალისწინებიან პროგრამით დაინტერესებული მხარეების მოსაზრებებს. სამსახური მუდმივ კომუნიკაციაშია პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან და იხილავს არამარტო კვლევის შედეგებსა და მათ გაუმჯობესების საკითხებს, არამედ სამსახურთან ერთად იგეგმება მათი გაუმჯობესების ღონისძიებები, რაც ხელს უწყობს ხარისხის მექანიზმების გაუმჯობესებას. გარდა ამისა ის უზრუნველყოფს ყველა საუნივერსიტეტო პროცესის მხარდაჭრას.

ექსპერტთა ჯგუფი ასევე გაეცნო პროგრამების შემუშავებისა და განვითარების წესს, სადაც დეტალურად არის აღწერილი სხვადასხვა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის როგორც მომზადების, ისე მისი განახლებისა და შეფასების პროცესები. წინამდებარე დოკუმენტი თანმიმდევრულად გადმოსცემს აკადემიური პროგრამების სტანდარტების თავისებურებებს, მაგრამ მნიშვნელოვნად მიგვაჩნია შევიდეს კორექტურა მე-4 თავის მე-2 მუხლის პირველ, მე-3 პუნქტებში, კერძოდ წინამდებარე წესი მოვიდეს შესაბამისობასთან დოქტორანტურის პროგრამის სტრქტურის რეგულირების ნაწილში.

ინტერვიუებმა აჩვენა, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, საფაკულტეტო ადმინისტრაცია, ასევე პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლები მუდმივად ჩართულნი არიან აკადემიური პროცესებსა და შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაში. მნიშვნელოვანია, რომ ეტაპობრივად და უფრო აქტიურად ტარდებოდეს ვორკშოპები პროგრამის განვითარებით დაინტერესებულ პირთათვის, მით უფრო, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პირი სიღრმისეულად არის დაინტერესებული შიდა ხარისხის შეფასების პროცესებით.

შიდა შეფასების მასალების გაცნობამ აჩვენა, რომ ინსტუტუცის შიდა შეფასება მიაჩნია გარე შეფასების კარგ წინაპირობად, რასაც რეალურად ახორციელებს კიდეც, შედეგებსაც წარმოადგენს ანალიზის ფორმატში. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა ახალი შეთავაზებაა ინსტიტუციის მხრიდა, მან შეძლო, რომ შეესწავლა პრაქტიკულად, ერთი მხრივ, მონათესავე პროგრამის კურსდათავრებულთა, ხოლო, მეორე მხრივ, კი პოტენციურ სტუდენტთა (ამავე დაწესებულების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები, პოტენციური მაგისტრანტები!, გამოკითხულთაგან - 38 პირი, დიაგრამაზე 47% მეოთხე, 42% მესამე, ხოლო მეორე კურსელი 11%) პოზიცია ახალი საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ, რომლის შედეგები წარმოდგენილი იყო პორტფოლიოში.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუდმივ კომუნიკაციაშია საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ პირებთან, აცნობს მათ სისტემაში არსებულ სიახლეებსა და გამოწვევეს. თუმცა სასურველია თუ ეს შეხვედრები გააქტიურდება (წარმოდგენილ მასალებში ტრეინინგები და ვორკშოფები ფიქსირდება ბოლოს 2020 წლის დეკემბერში) და მათ წაუძღვება არამარტო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ადგილობრივი წარმომადგენლები, არამედ პერიოდულად შესაძლოა გადამზადების პროცესში ჩაერთონ როგორც ქართული საგანმანათლებლო სივრცის, ისე უცხოელი დარგობრივი ექსპერტები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ***შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება*** *·დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ 18/01/2018წ. - ოქმი N1 (დანართი №6)* (**დ.14**);
- ***„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი*** (სსმ, 2, 10/01/2005, N688)·მუხლი მე-7, პ. 46ᵃ;

- *უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების ინსტრუქცია* *დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ 15/05/2019წ. - ოქმი №7 (დანართი №2)* ·(**დ. 3**);
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევები (გამოკითხვები)(**დ. 14[1]**);
- ვიზიტის პროცესში შემდგარი ინტერვიუები;
- ფაქტობრივი ვითარება.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- რეგულარულად მომზადდეს ვოკშოპები საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილე აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და დამსაქმებელთათვის ხარისხის განვითარების თემებზე, შიდა ხარისხის განვითარებაში აქტიურად მონაწილეობის მიზნით.
- დაკორექტირდეს შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის *აკადემიური საბჭოს 15/05/2019წ. - ოქმი №7 (დანართი №2)* დადგენილების ***საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების ინსტრუქციის შესახებ*** მე-4 თავის მე-2 მუხლის პირველ, მე-3 პუნქტები და მოვიდეს თავსებადობაში საკანონმდებლო ნორმებთან;

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

გარე შეფასების ერთ-ერთ მექანიზმად ითვლება ავტორიზაცია და აკრედიტაცია, რომელსაც ახორციელებს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. შეფასების დროს მიღებული რეკომენდაციები აისახება პროგრამის განხორციელებისას. თუმცა წარმოდგენილი პროგრამა სტატუსის თანახმად არის ახალი პროგრამა, შესაბამისად, მას გარე შეფასების ისეთი მექანიზმები როგორიცაა ავტორიზაცია-აკრედიტაცია წინამდებარე საგანმანათლებლო პროგრამას არ შეხებია.

თუმცა საგანმანათლებლო პროგრამის მომზადების პროცესში განმახორციელებელი პირები შეეცადნენ, გარე შეფასების სხვა მექანიზმები აემუშავებინათ პერმანენტულად. მათ დანართების პორტფოლიოში წარმოდგენილი აქვთ კურსდამთავრებულთა (მომიჯნავე დარგებიდან) გამოკითხვები, რომლებიც შესაძლოა შემდგომში გახდნენ წინამდებარე პროგრამის პოტენციური სტუდენტები (სულ 16 პირი). ასევე წარმოდგენილია დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები (გამოიკითხა 10 ობიექტის წარმომადგენელი), რომელშიც დეტალურადაა წარმოდგენილი ვრცელი კითხვარის დეტალური

რეკომენდაციები. გამოკითხვების შედეგები მიეწოდება რეგულარულად პროგრამის განმახორციელებელ პირებს, დგება შესაბამისი ფოკუს-ჯგუფები და ეწყობა ცალკეული რეკომენდაციების განხილვა. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გარე შეფასების ფორმატში შეეცადა გამოეყენებინა შეფასების კიდევ ერთი ფორმატი, კერძოდ, პროგრამის ხელმძღვანელის აქტიური ჩართულობით წარიმართა შედარებითი კვლევა საგანმანათლებლო პროგრამების. საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა დადარდა ევროპისა და ამერიკის უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებს. შედარებითი კვლევა მაღალი ვალიდურობისაა, იმდენად რამდენადაც პროგრამის განმახორციელებელმა პირებმა მოახერხეს და შედარებითი კვლევა განხორციელდა 5 უნივერსიტეტის ანალოგიურ პროგრამებთან მიმართებით, მათ შორისაა, ლოიოლას უნივერსიტეტი (ჩიკაგო, აშშ), ჩრდილო-აღმოსავლეთის უნივერსიტეტი (ბოსტონი, აშშ), ლონდონის მეტროპოლიტენ უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი), ლიუვენის უნივერსიტეტი (ბელგია), ბრემენის უნივერსიტეტი (გერმანია). პერიოდულად პროგრამის განმახორციელებელი პირები რეკომენდაციებსა და რჩევებს ღებულობდა უცხოური უნივერსიტეტების კოლაბორატორებიდან (კორესპონდენციები ვილნიუსის, ბუქარესტის, ვირჯინიის, ტორონტოს, მიუნხენის ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტი, ბუდაპეშტის უნივერსიტეტი), რამაც ეტაპობრივად ასახვა ჰპოვა საგანმანათლებლო პროგრამაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების ინსტრუქცია·დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ 15/05/2019წ. - ოქმი №7 (დანართი №2) ·(დ. 3); ○ პროგრამის გარე კოლეგიალური შეფასება (დ. 10); ○ ბაზრის კვლევის ანალიზი და დამსაქმებელთა შეხვედრის ოქმი N2 (დ.8) ○ საერთაშორისო თანამშრომლობის მასალები (დ. 10) ○ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევები (გამოკითხვები)(დ. 141); ○ ვიზიტის პროცესში შემდგარი ინტერვიუები; ○ ფაქტობრივი ვითარება.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ **მუდმივი კომუნიკაცია დარგში წამყვან უცხოურ უნივერსიტეტებთან და აქტიური თანამშრომლობა კოლაბოტატორებთან საგანმანათლებლო პროგრამის გაახლებისა და ინტერნაციონალიზაციის მიზნით.**
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება **o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა** **☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** **☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის პროცესში შპს-შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს როგორც შიდა, ისე გარე შეფასების მექანიზმებს, რომელთა შედეგების დამუშავება და ანალიზი რეგულარულ წარმოდგენას იძლევა პროგრამის რეალურ ვითარებაზე.

მონიტორინგის ფარგლებში ყოველსემესტრულად უნივერსიტეტის ელექტრონულ სასწავლო პლატოფრმაზე smart ბაზაში შეფასებას ექვემდებარება:

- ✓ ბაზაში სილაბუსების და სასწავლო მასალების დროული ატვირთვის საკითხი;
- ✓ სასწავლო კურსებში სტუდენტების შეფასების ქულების გადანაწილება (grade distribution);
- ✓ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შედეგების ანალიზი;
- ✓ სტუდენტთა გამოკითვების ანალიზი;
- ✓ აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის შეფასება;
- ✓ სასწავლო და საგამოცდო მასალების შეფასება;
- ✓ გამოცდების შედეგების ანალიზი;
- ✓ საგამოცდო პროცესის დაკვირვება;
- ✓ სასწავლო პროცესის დაკვირვება;

კვლევების შემდგომ ინიშნება სამუშაო შეხვედრები მიზნობრივ ჯგუფებთან, განიხილება და საბოლოო დასკვნები და რეკომენდაციები გადაეცემა ფაკულტეტს რეაგირებისთვის. მონიტორინგის შედეგების საფუძველზე შესაძლებელია საგანმანათლებლო პროგრამა დაექვემდებაროს მოდიფიკაციას.

საგანმანათლებლო პროგრამის ციფრული მედია და კომუნიკაცია ბუნებრივია, ვერ განხორციელდებოდა, გამომდინარე იქიდან, რომ მისი შემუშავება მიმდინარეობს ამ ეტაპზე. თუმცა საგანმანათლებლო პროგრამის მომზადების პროცესში მისი მასალები პერიოდულად ექვემდებარებოდა უცხოელ პარტნიორთა ეტაპობრივ შეფასებას. რეკომენდაციის საფუძველზე კი მიმდინარეობდა საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსისა და სტრუქტურის დახვეწა-გაუმჯობესება. კურიკულუმის საფინალო ვერსია გაიგზავნა დარგის ექსპერტებთან გარე შეფასებაზე.

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შემთხვევაში მონიტორინგის მექანიზმების სრულყოფილად ამოქმედდება, რაც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომ განვითარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები - (დ. 1);
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების ინსტრუქცია·დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ 15/05/2019წ. - ოქმი №7 (დანართი №2) ·(დ. 3);
- საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუქცია·დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ 15/05/2019წ. - ოქმი №7 (დანართი №1) ·(დ. 4);

○ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები (სახელმძღვანელო დოკუმენტი)·IBSU.R36.I01G; ○ შზსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევები, გამოკითხვები (დ. 141); ○ პროგრამის შეფასების შედეგები, გამოკითხვა (დ. 5.3.4); ○ ვიზიტის პროცესში შემდგარი ინტერვიუები; ○ ფაქტობრივი ვითარება.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:შპს **შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი**

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:**ციფრული მედია და კომუნიკაცია, სამაგისტრო პროგრამა**

დასკვნის გვერდების რაოდენობა: **48**

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ლელი ბიბილაშვილი 

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ნატო ასათიანი

ნინო ქიმერიძე

გიგი გიოშვილი